

1-49 სტრ., 1r

გეშისცემო: დადათუ: ესუა: სხუა: მე: კეთილად: მოკსენებული: ახოვანი: მკნე: და: ქველი:
დიმიტრი: რომელი: შემდგომად: მისსა: მეფედ: იქმნა:
ხოლო: ამან: რა: დაასრულა: ცხორება: იგლოვა: ყოველმან: სამეფომან: და: დამარხეს:
მცხეთას: სამარხოსა: მეფეთასა: ხოლო: თქმულ: არს:
ესეცა: ვითარმედ: წამლისა: მიერ: აღსრულდა: ცოლისა: მისისა: იესუქანის: მიერ: ვითარ:
სიტყუისმოქმედი: იტყუის: დიდისა: მაკედოვნელ
ისა: მიდოსთა: მსერებელისა: და: შემსუმელისა: თასისა: ირაკლისის: თავმტკივნეულობად:
ექუსიმყოფსა: ეგრეთვედ: დავითისა
თუის: თქმულ: არს: იესუქანის: მიერ: შურისათუის: ბასილი: უჯარმელისა: რომელი:
მოაკუდინა: მეფემან: უწესოების: რამე :
თუ: თქმულ: არს: ვითარმედ: თანეყო: ბასილი: იესუქანს: და: არა: რიდა: საწოლსა:
პატროსანსა: მეფისასა: და: ჩოკანიცა:
აიკადნა: და: დივანთა: მთავარობა: მიიტაცა: ამის: უწესოებისათუის: მოიკლა: ბასილი:
და: ვინათგან: მიიცვალა: მეფე: დავით:
იგლოვეს: წესისაებრ: და: მრავალი: ნიჭი: გასცეს: საყდართა: ეკლესიათა: და: გლახაკთა:
ზედა: საკსენებელად: მისსა: გარნა: მწუ
ხარე: იყუნეს: ქართველნი: რამეთუ: მეფე: დიმიტრი: მცირე: დარჩა: და: არა: ძალედვა:
განგებად: მეფობისა: ამისთუის: მთავა
რნი: უმრავლესნი: წარვიდეს: და: თუისთუისად: მსახურებდეს: ყანსა: რამეთუ: ვერცა:
მეფემან: დავით: ცვალნა: ერის
თავნი: საერისთვოდ: შიშისათუის: ყანისა: მაშინ: ზემოკსენებული: იაღლურ: და: რაჭის:
ერისთავი: კახაბერი: შვი
ზრახნეს: ურთიერთარს: რათა: განადგენ: მეფესა: რუსუდანის: ძესა: და: წარვიდენ: ყანსა:
აბაღას: წინაშე: ეზრახ
ნეს: აღინაყს: ბაადურსა: რომელი: დგა: მათა: ჯავახეთისათა: და: მან: აცნობა: ყანსა:
ხოლო: მან: ნიჭნი: დიდნი: აღუთქუნა:
და: წარმოვიდეს: ყანსა: წინაშე: იაღლურ: და: კახაბერისძე: კახაბერ: რომელი: იყო:
ნათესავი: თესლთა: ბოროტთა: ვითა:
გუაუწყებს: წიგნი: მეფეთა: ნაქმართა: ბახუაშისათა: და: ნათესავთა: მისთასა: და: ვითარ:
მიიწივნეს: ყანსა: წინაშე: შეიწყნარნა: და:
მოუწოდა: სირამონს: ნოინსა: და: ჰრქუა: ვინათგან: მეფე: დავით: ესეოდენტა:
განდგომილებათა: იქმს: და: მისსა: არა: კმაყოფს: და:
ყოველსა: განდგომილსა: ჩემსა: თანაშეეწევის: ვითარ: თავუთარს: და: აწ: იაღლურს:
ხოლო: მე: ნიჭნი: დიდნი: წინაუყუენ: თავუ
თარისათუის: და: კუალად: იაღლურ: შეიწყნარა: აწ: მნებავს: რათა: შურივიგო: მას: ზედა:
და: ვითარ: ესმა: კახაბერსა: წარდგა: და:
თქუა: უკეთუ: ნებავს: ყა: შურისგება: მეფესა: ზედა: მე: თუით: ამისთუის: მოსრულ: ვარ:
რათა: შურივიგო: მეფესა: დავითს: ზედა: და: ვიც

ნი: გზანი: და: შესავალნი: ყოველნი: და: მე: წარვასხამ: ლაშქართა: შენთა: და: ვგონებ: რომელ: მეფე: კელთ: ვიგდო: და: იაღლურცა: იცის: ძალი: და: გზა: ქუეყანისა: მისმაშინ: უბრძანა: ყანმან: სირამონს: ალინაყს: თუჩის: და: ბაჩის: რათა: ილაშქრონ: მეფესა: დავითს: ზედა: შეკრბა: სიმრავლე: ლაშქრისა: ვითარ: სამი: ბევრი: განვლეს: თრიალეთი: და: მტკუარი: და: ქართლი: და: მთა: იგი: ლიხი: გარდავიდეს: უცნა ურად: და: ზედა: დაესხნეს: ქუთათის: მეფესა: აბანოს: მყოფსა: და: ძლით: შეესწრა: ცხენსა: ერთითა: კაბითა: ხოლო: თათართა: მოაოჯრეს: ქუთათისი: არგუეთი: სამოქალაქო: და: მოაოჯრეს: ეკლესიანი: და: მრავალი: სული: ტყუე: ყვეს: და: მოსრეს: და: ესრეთ: უვნებულად: მოვიდეს: ყანსა: თანა: ხოლო: მეფე: საკუირველებით: დაცული: ღთისა: მიერ: განარინა: ღთნ: მარადის: მცველმან: მეფეთამან: და: ვერ: ესწრა: ომსა: მათსა: რამეთუ: მსწრაფლ: უკმოიქცეს: თათარნი: და: მესამესა: წელსა: კუალად: წარვიდეს: სირამონ: და: ალინაყ: ბრძანებითა: აბადა: ყანისათა: შეჰყპროზად: მეფისა: რამეთუ: დაემსტუარა: კახაბერსა: და: არღარა: ჰგონებდა: მეფე: მისულასა: თათართასა: და: კუალად: დაესხნეს: და: მეფემან: მირიდნა: მოაოჯრნეს: იგივე: ქუეყანანი: და: ვითარ: ცნეს: შეყრა: მეფისა: და: ზედამოსლვა: მსწრაფლ: ივლტოდეს: და: მასვე: დღესა: უკუმიქცეს: ტყუითა: და: ალაფითა: სავესენი: ამათ: ჟამთა: შინა: განდიდნებოდა: სადუნნი: მანკანა: ბურდული: უმეტეს: ყოვე ლთა: მთავართა: მის: ჟამისათა: რამეთუ: შეიყუარა: ყანმან: აბადა: და: იწყო: საურავად: საქმეთა: საქართველოსათა: რამეთუ: ასული: პატრონისა: მისისა: ავაგ: ათაბაგისა: შეერთო: ცოლად: და: ქუეყანა: ავაგისი: შევედრა: სადუნსა: და: ეჯიბობაცა: მისცა: ხუაშაქმან: მაშინ: შეკრბეს: თავადნი: ქართლისანი: ბეგა: ქართლის: ერისთავი: და: მსახურთუხუცესი: ორბელნი: და: სხუანი: დიდებულნი: და: წრიყუანეს: მეფი სა: დავითის: ძე: დიმიტრი: და: მივიდეს: შანშეს: ძესა: ივანე: მანდატურთუხუცესსა: თანა: და: იგიცა: წარჰყუა: ურდოს: და: მიყუანეს: ყაანსა: წინაშე: და: უურვეს: მეფობა: და: ვითარ: იხილა: ყანმან: მეფე: დიმიტრი: შეიყუარა: რამეთუ: იქ(ყ)ო: ქმნულკეთილი: და: შუენიერი: ხი ლვად: და: მოსცეს: მეფობა: და: ყოველი: სამეფო: მისი: თუინიერ: სარგის: ჯაყელისა: და: წარმოატანა: თანა: სადუნნი: რომელსა: უბოძა: მეფემან: ათაბაგობა: მოვიდეს: ტფილის: და: დასუეს: ტახტსა: მამათა: მისთასა: და: ადასრულეს: წესი: კურთხევისა: კზმან: და: ეფისკოპოზთა: და: ყოველთა: მთავართა: საქართველოსათა: ჰერეთით: კახეთით: სომხითით: ქართლით: ჯავახეთით: და: ტაოთ: რომელნი: შეკრებულ: იყუნეს: და: იყო: მადლობა: დიდი: ღთისა: და: სიხარული: და: განცემა: გლახაკთა: ზედა: და: ობოლთა: რათა: წარემართოს: მეფობა: დი

მიტრისი: და: კეთილად: განაგებდეს: მეფე: და: სადღუნი: მათ: ჟამთა: შინა: იწყო: ყაანმან:
აბაღა: ბრძოლად: მეგუიპტელთა: მთავრისა: და:
სულტანსა: მისრისსა: ფანდუყადარისა: და: წარავლინა: ბრძოლად: მისსა: სპა: ძლიერი:
და: მათ: თანა: სპა: ქართველთა: და: აჩინა: მკედარ
თმთავრად: თოდან: ვინმე: ნათესავით: ულდუსი: ბაალდურთ: მთავარი: და: გაგზავნეს:
საბერძნეთისა: გზასა: შამად: მიმავალსა: და: მიუმცნო:
სულტანსა: საბერძნეთისასა: სახელით: ფარვანს: რამეთუ: ამას: წინათ: აღსრულებულიყო:
სულტანი: დიდი: სელჩუქან: და: მიე
ტაცა: სულტანობა: და: ცოლიცა: მისი: ასული: რუსუდანისი: გურჯიხათუნ: მიეყუანა:
ცოლად: და: მას: აქუნდა: ყოველი: ასია: და:
კაბადუკი: ამას: მიუმცნო: ყაანმან: რათა: შეეწიოს: სპათა: მისთა: და: ვითარ: მივიდეს:
სპანი: აბაღასნი: ფარვანსა: თანა: დაიბანაკეს:
ევხაიტას: რომელი: არს: აბულისტანი: და: ვითარ: ესმა: სულტანსა: ფანდუყადარს:
მისლვა: თათართა: მოვიდა: სპითა: ეგუიპტისათა: და: ზედა:
დაესხა: ჟამსა: განთიადისასა: და: იქმნა: ძლიერი: ომი: სადა: იგი: ძლიერი: ბრძოლა: ყვეს:
ქართველთა: რომელ: განკუირდეს: ყოველნი:
თათარნი: მაშინ: თათარი: ვინმე: არასახელოვანი: სახელით: მურღაულ: მიეტევა: რაზმსა:
არაბთასა: მარტო: და: განვლო: ში
გან: და: გამოვლო: და: მომავალსა: ცხენსა: მისსა: უკანა: ფერკი: მოჰკუეთა: ვინმე:
ქუმედებარემან: კაცმან: საოლავსა: და: რქასა: შუა: და: ივ
ლტოდა: სპა: აბაღასი: მოიკლა: თოდან: ხოლო: იქმნა: საქმე: საკუირველი: რომელ:
წარმოვიდა: ესე: მურღან: უფერკოთა: ცხენითა: და: სამი:

1-52 სტრ., 1v

დღე: და: ღამე: ვლო: ფერკმოკუეთილმან: ცხენმან: და: ვითარ: ცნა: აბაღა: ამოწყუედა:
ლაშქართა: დაუმძიმდა: დიდად: და: შეასმინეს: სულტანი: ფარვანა:
ვითარმედ: მოსულვა: სულტანისა: ფანდუყადარისა: მისითა: განზრახუითა: იქმნაო:
ამისთუის: შეიპყრეს: ფარვანა: დაღათუ: მოაკუდინეს: და: იავარყუეს: ყოველი:
სიმდიდრე: მისი: და: აჩინეს: საბერძნეთს: ნოინი: დიდი: და: კეთილნათესავი: საფირთა:
გუართათ: აღმოცენებული: პირველთა: ყაანთა: ნათესავი: ონზ
ანისი: სახელით: ერინჯ: ამას: კელთუდვეს: მთავარობა: საბერძნეთისა: და: წაუღეს:
აწყურნი: სამცხისა: რომელი: აქუნდა: ფარმანს: ცოლეულად: და: უბო
ძეს: ჯაყელსა: სარგის: და: ძესა: მისსა: ბექასა: იარლაყითა:

და: ვითარ: აღიზარდა: მეფე: დიმიტრი: იწყო: საურავთა: სამეფოთა: კეთილად: განგებად:
რამეთუ: იყო: ესე: ტანითა: სრული: და: ზომიერი: ფერთა: ჰაე
როვან: შესახედველად: კეთილ: თმითა: და: წუერთა: მწყაზარ: და: შუენიერ: თვალითა:
გრემან: ბეჭითა: ბრტყელ: სამკედროთა: წესითა: სრულ: ცხე

ნოსანი: და: მშუილდოსანი: რჩეული: უხუი: მოწყალე: მდაბალი: გლახაკთ: მოწყალე:
ესრეთ: რომელ: არა: სმენილ: არს: მგზავსი: მისი: მეფეთა: გინა: სხუათა:
კაცთა: შორის: რამეთუ: აქუნდა: ჩუეულება: რომელ: კისა: გინა: კაპტულა: აავსის:
საფასითა: და: თუით: აღდგის: ღამით: და: მოვლის: ყოველი: ქალაქი:
და: მოიხილნის: გლახაკნი: დავარდომილნი: და: ობოლნი: და: თუით: მისითა: ჳელითა:
მისცემდა: ქველისსაქმესა: და: ყოველთა: უწყოდეს: მოწყალეობა: მეფისა:
ამისთუის: გლახაკნი: ფოლოცთა: შინა: დაივანებდიან: რათა: შემთხვეოდენ: ღამით:
მიმავალსა: მეფესა: ამის: თანა: მოეგო: მმარხველობა: და: ღამით:
ლოცვა: და: მუკლთა: ყრა: რომელ: ათასხუთასი: მუკლი: მდაბლად: მიწასა: ზედა:
მოიგდის: და: ესრეთ: განშუენებული: იყო: გარნა: ეგრეთცა:
ჳელთა: შინა: სადუნისთა: იყო: რამეთუ: ფრიად: განედიდდა: სადუნი: ყანსა: ამან:
სადუნმან: იურვა: მეფესა: დიმიტრისა: წინაშე: თელავი:
და: ბელაქანი: და: სხუანი: მრავალნი: ქუეყანანი: და: კეთილად: განაგებდა: სადუნი:
საქმეთა: საქართველოსათა: რამეთუ: დღეთა: მისთა: არა: იქმნებოდა: თათართაგან:
მძლავრი: და: უსამართლო: არცა: დიდთა: ნოინთაგან: და: არცა: ელჩთაგან: და: ესრეთ:
აღშენდა: დღეთა: სადუნისთა: ქუეყანა: მისი: და: მეფემან: დიმიტრი: იწ
ყო: ურდოს: და: სიბას: წარსლვად: მოირჭუნა: და: აღაშენნა: ქუეყანანი: აოჯრებულნი:

ამანვე: დიმიტრი: აღაშენა: პალატსა: შინა: მონასტერი: ისნთა: საყოფლად: მეტეხთა:
ღთისმშობელისა: და: შეამკო: განგებითა: დიდითა: და: შეს
წირნა: სოფელნი: და: ზუარნი: და: განუჩინა: მონაზონთა: საზარდელი: და: სამოსელი:
და: განაგო: განგებითა: კეთილითა: და: წარვიდა: ურდოს: მაშინ: ურდოს: ყოფასა:
შინა: მეფისა: დიმიტრისსა: სთხოვეს: საფასე: ურიცხუი: რომელსა: თქმულ: არს:
ვითარმედ: განზრახვითა: სადუნისითა: იქმნაო: რამეთუ: რქუა:
მეფესა: უკეთუ: მომცე: დმანისი: მე: მივცე: ყანსა: საფასე: იგი: რომელსა: გთხოვს: და:
წყალობადცა: მომანიჭე: ისმინა: მეფემან: მაგრა: უნებლიეთ:
მისცა: დმანისი: და: მიმდგომი: მისი: ქუეყანა: და: უმეტეს: განდიდნა: და: იქმოდა:
კეთილსაცა: საქმესა: მონასტერთა: ზედა: და: გლახაკთა: რომელ: დღეთა: ცხო
რებისა: მისისათა: ამან: მისცის: ყალანი: და: მალი: ათორმეტთა: უდაბნოსთა:
გარეჯისათა: და: მსახურებდის: მეფესა: დიმიტრის: ერთგულად: რამეთუ: განდი
დნა: დიდად: ლაშქრითა: და: საქონელითა: ოქროსა: და: ვეცხლისა: და: ჯოგისათა: და:
ხუასტაგისა: არა: იყო: რიცხუი: რამეთუ: იყო: კაცი: ესე: მაშენებელი:
ქუეყანისა: და: კეთილად: განმგე: საქმის: მოქმედი: და: ბრძენი: სიტყუითა: ხოლო: აბადა:
ყანი: ისმენდა: სიტყუასა: მისსა: და: დიდი: სეიბადივანი: შეეწეოდა: რომელ:
ათბაგისა: მამული: მას: აქუნდა: და: სადუნისადა: შეევედრა: და: უმრავლესი: ქუეყანა:
მიეცა: რამეთუ: ესე: სეიბადივანი: განდიდებული: იყო: ყანისა: ულა
ოს: მიერ: მერმე: აბაღასგან: და: ყოველი: საბრძანებელი: ყანისა: მისთა: ჳელთა: შინა:
იყო: და: იგი: განაგებდა: ყოველსა: საქმესა: და: მიექუსედი: ყანთა:
ქუეყანისა: და: ქალაქთა: რომელნი: ბზასა: მისსა: მორჩილობდეს: ეყიდა: ფასითა: ხოჯა:
შამშადინსა: სეიბადივანსა: ეგრეთვე: მსგავსად: მისსა: განდიდნა: სადუნი:
და: მსგავსადვე: მისსა: იყიდნა: ქუეყანანი: მრავალნი: და: მეფეთაცა: უბოდეს: კარი: და:
დაჯდა: კარს: და: ეგრეთვე: ახალციხელთაგან: მოივერაგა: კეჩიროლი: და: მისი:

მიმდგომი: ქუეყანა: რამეთუ: ახალციხელისა: დავითის: ასული: ცოლად: მიიყუნა: და:
კეჩიროლი: დაიჭირა: დმანისი: და: თელავი: მეფემან: უბოძა: და: საქართველოსა:
ლაშქართა: საქმე: და: განგება: ყანმან: ჯელთ: უდვა: ხოლო: მან: განყო: და: რომელიმე:
თუით: დაიჭირა: ლაშქარი: და: სხუა: თორელსა: კახასა: მისცა: და: სხუა:
სურამელსა: ბეგასა: ქართლის: ერისთავსა: და: სხუანი: დარბაზის: ერნი: ქართველნი:
სომხითარნი: და: ერკახნი: მეფისა: დიმიტრის: წინაშე: იყუნიან: მარადღე:
ამათვე: ჟამთა: შინა: განდიდნა: სამცხის: სპასალარი: და: მეჭურჭლეთუხუცესი: სარგის:
ჯაყელი: და: ძე: მისი: ბექაი: რომელნი: მთავრო
ბდეს: სამცხეს: ხოლო: საქმენი: სარგისისანი: ზემო: აღუიწერიან: და: ბექასნი:
შემდგომად: ვაკსენეთ: რამეთუ: იყო: ბექა: ტანითა: დიდი: და: ახოვანი: ფერი
თა: ჰაეროვანი: თმითა: და: თუალითა: გრემან: და: ფრიად: შუენიერ: ბექითა: და:
მკერდითა: სრულ: და: ძლიერ: ომსა: შინა: მწნედ: მზრდოლი: ცხენსა: ზედა: მწნე:
და: მოისარი: ნადირთა: ზედა: ჯელოვანი: გონებითა: ფრთხილი: და: ღრმად: გამგონე:
განმზრახი: სუიანი: მაშენებელი: ქუეყანათა: ეკლესიათა: და: მონასტერთა: და: ლთის:
მოსავთა: კაცთა: პატივსმცემელი: რომელ: არს: ჟამსა: დააკლდის: სახლსა: მისსა: ლოცვა:
ცისკრად: სამხრად: და: მწუხრი: ვითარ: ტუიბიკონი: მოსცემდა: ჟამ
სა: ლოცვისასა: ამისათუის: პატივსცა: ლთნ: და: მეუღლეცა: შემსგავსებული: მიანიჭა:
ლოცვისა: მარხვისა: გლახაკთმოწყალებისა: და: მონასტერთა:
და: ხატთა: პატივსმოყუარე: და: ობოლთა: მზარდელი: რამეთუ: არ: არს: ჟამი: კეთილთა:
და: პატიოსნებათა: მისთა: მითხრობად: ამან: ბექამან: დაიპყრა:
ქუეყანა: ტასისკარითგან: ვიდრე: ბასიანადმდე: და: კარნოქალაქად: სამცხე: აჭარა:
შავშეთი: კლარჯეთი: ტაო: ვაშლოვანი: ნიგალისჯევი: არტანუჯი: და: ათორ
მეტნი: უდაბნონი: კოლა: კარნიფოლა: და: ორივე: არტაანი: და: მრავალნი: სოფელნი:
რჩეულნი: ჯავახეთს: და: ესრეთ: დღითი: დღე: განდიდნებოდის: და: მსახურ
ებდის: ყანსა: აბაღას: და: მორჩილობდის: მეფესა: დიმიტრის: ხოლო: მეფე: დიმიტრი:
წარემატებოდა: ლთისმსახურებითა: და: კაცთმოყუარებითა: და: ყანნი:
უმატებდა: პატივსა: და: კეთილსა: დაღათუ: ჯერეთ: ყრმა: იყო: არამედ: ინებეს:
მთავართა: მისთა: რათა: ექორწინოს: მეუღლესა: და: წარავლინეს: კაცი:
პონტოს: მეფესა: კომანიანოსსა: წინაშე: რომელსა: იტყუიან: ნათესავად: დიდისა:
კოსტანტინესა: და: მიიყუანეს: ტრაპეზონტელისა: შვილი: ასული: დიდი
თა: საჭურჭლითა: და: დიდებითა: და: იქმნეს: ქორწილი: სამეფო: წესისაებრ: და:
შემდგომად: მცირედისა: მუცლადილო: დედოფალმან: და: შვა: ძე: და: უწოდეს: სახე
ლი: დავით: რომელი: უკანასკნელ: მეფე: იქმნა: ქართლისა: ამათ: ჟამთა: მოვიდა: იგივე:
ნონი: არღუნ: რომელსა: აღერიცხუნეს: ყოველნი: საბრძანებელ
ნი: ოთხთავე: ყანთანნი: რათა: ათუალოს: და: ცნას: ვითარძი: არს: ქუეყანა: აშენდა: გინა:
აოჯრდა: და: ათუალა: ახლად: და: ცნა: რამეთუ: აოჯრებული: იყო: უმრა
ვლესი: ქუეყანა: და: უმეტეს: ჰერეთი: და: კახეთი: და: კამბეჩიანისა: ვაკენი: გამოსლვასა:
მას: თათართასა: ოდეს: გამოვიდა: ყანნი: დიდი: ბერქა: მაშინ: ტფილის:
ყოფასა: არღუნ: უირიდისსა: ინება: არღუნ: რათა: ემზახოს: მეფესა: და: სთხოვა: დაი:
მეფესა: სახელით: თამარ: რომელი: იგი: მხოლო: ესუა: და: თქუა: კეთი
ლად: მოკსენებულმან: მამამან: თქუენმან: მომცა: ასული: მისი: დაი: თქუენი: სძლად:
ჩემად: და: ცოლად: შვილისა: ჩემისად: და: იგი: ვერ: ესწრა: არამედ: ვითხოვ:

რათა: არა: უღირსიჩინო: ვედრება: ჩემი: და: მომცე: და: შენი: შვილისა: ჩემისათვის:
ვითარცა: ესმა: ესე: დაუმძიმდა: დიდად: და: ჭმუნვასა: ჩავარდა: და: სულითა: ეძებდა:
ლო
ნესა: და: სმაგდა: წარმართისა: ქორწინებად: და: მისი: ქრისტეს: ღთისა: აღმსარებელი:
გარნა: არა: იყო: ღონე: რამეთუ: მეფესა: მამასა: მისსა: მიეცა: ქალი: იგი: არღ
უნისათვის: სძლად: და: მისცეს: ცოლად: შვილსა: არღუნისსა: აღასრულეს: წესი:
ქორწილისა: და: წარვიდა: ხოლო: შვილი: მისი: დაუტევა: მეფესა: ამათ: ჟამთა: კუალად

1-55 სტრ., 2r

მიუდგა: დედოფალი: და: შვა: ყრმა: წული: და: უწოდეს: სახელი: ვახატანგ: და: კუალად:
დამშუიდნა: ამათვე: ჟამთა: შინა: ქუეყანა: ლიხთიმერისა: და: მოიწო: მეფემან:
დავით: სამეფო: მისი: რამეთუ: იყო: კაცი: ფრიად: კეთილი: და: გონიერი: უხუი:
მდაბალი: და: პურად: უმჯობესი: უწინარესთა: მისთა: მეფეთა: და: იყო: მრავალსა:
შინა: მშუიდობასა: ხოლო: რაჭის: ერისთავი: კახაბერი: იყოფებოდა: ქართლს: და: აქუნდა:
ქუეყანა: ატენისა: არცა: ყანისა: მიერ: და: არცა: თუ: დიმიტრი: მეფი
საგან: ორგულებსათვის: მეფეთასა: ამისთვის: შეიწრებული: კახაბერი: ევედრა: მეფესა:
რათა: შეიწყალოს: და: შეუნდოს: და: უბოძოს: მამული: მისი: ხოლო: ტკბილ
მან: და: მოწყალემან: მეფემან: შეიწყალა: და: შეუნდო: ფიცთა: მიერ: მტკიცეთა: რათა:
არა: აბრალოს: პირველი: შეცოდება: უკეთუ: ეგოს: ერთგულებასა: ზედა:
მისსა: და: მიუბოძა: ყოველი: მამული: მისი: და: კუალად: ეგო: რაჭის: მამულსა: მისსა:
ზედა: ხოლო: ვითარ: დაყო: მცირე: ჟამი: იწყო: მამურპაპურთა:
კუალთა: სღვა: და: ვითარ: ღორი: ისწრაფდა: მწუირისა: მიერ: და: ვითარ: ყუავი:
სკორეთა: მიმართ: და: ვითარ: იქედნე: გესლისა: დათხევად: რამეთუ: გუარისაგან:
მოაქუნდა: ორგულება: დამვიწყებელმან: ფიცთა: საშინელთამან: იწყო: ღალატად: მეფისა:
და: წარავლინა: წიგნი: და: კაცი: ალინაყს: ათასისთავსა: წინაშე: რომელი: დგის:
ზაფხულის: მათათა: ჯავახეთისათა: და: კოლისათა: რათა: პირველისაებრ: დაესხას:
მეფესა: და: ადვილად: ჯელთიგდოს: გარნა: უქმყო: ღნ: საკუირველებათა
მან: ზრახუა: მისი: ვითარცა: აქიტოფელისა: დავითის: მიმართ: და: საცნაურ: იქმნა:
წიგნი: იგი: კახაბერისა: ამისთვის: მიეგო: მისაგებელი: ბოროტი:
და: სიცრუე: მისი: თხემსა: მისსა: ზედა: დაუჯდა: რამეთუ: შეიპყრა: მეფემან: პირველად:
თუალნი: დასწუნა: და: მერმე: ერთი: ჯელი: და: ერთი: ფერჯი:
მოკვეთა: და: ორნი: მისნი: შვილნი: მისცნა: ექსორიობად: კოსტანტიპოლის: ხოლო:
კახაბერი: მცირედ: ცხორებული: განვიდა: ამის: ცხორებისაგან:
და: ესრეთ: მოისპო: ყოველი: ნათესავი: ბაღუაშისა: რამეთუ: არა: დარჩა: ნათესავი: მისი:
და: აღიჯოცა: ამათვე: ჟამთა: შინა: ინება: ყანმან: წარსღვა: ქუე
ყანასა: ზედა: გილანისასა: რამ: სხუანიცა: აღმოსცენდეს: ბოროტნი: რამეთუ: იწყეს:
ურთიერთარს: მძლავრობად: და: მიხუეჭად: და: არავინ: იპო
ებოდა: სამართლისმოქმედი: რამეთუ: იყუნეს: მღდელთმთავარნი: და: მღრდელნი: ღალ:
ამპარტავან: ანგაარ: ბოროტისმეტყუელი: უწესურ: და: ვითარ: გა
ნამრავლნეს: ყოველთა: ყოვლით: კერძო: ბოროტნი: მაშინ: მოიწია: სამართალი: სასჯელი:
ცოდვათა: ჩუენთა: სამხილებელად: რამეთუ: ზემოკსენ
ებული: იგი: არღუნ: უირიდი: წარმოემართა: სამცხეს: ხილვად: სარგის: ჯაყელისა:
შემოვლო: სომხითი: ტფილისი: და: ქართლი: მკედარითა: ვითარ:

ორითა: ბევრითა: და: დიდად: ავნებდა: ქუეყანათა: დაღათუ: არა: ბოროტისყოფელი:
იყო: არამედ: საზარდელითა: უზომოდ: მისჭირდა: ქუეყანათა: მოვიდეს:
უცნაურად: სამცხეს: და: დადგეს: აწყურეს: და: ვითარ: ცნა: სარგის: მოსლვა: არღუნისი:
მოვიდა: წინაშე: მისსა: და: თანა: მოიტანა: ძე: მისი: ბექა: რომ
ლისათუის: განკუირდა: არღუნ: ორთავე: მოსულასა: სარგის: თანა: წარიტანა: ურდოს:
და: ბექა: დაუტევა: სამცხეს: რამეთუ: იყო: მეხუთე: კუირიაკე: წ~თა:
მარხუათა: ესენი: რა: წამოვიდეს: სამცხით: და: მოიწია: ჟამი: საუფლოსა: ვნებისა:
კუირიაკისა: დიდსა: ოთხშაბათსა: შეიძრა: ქუეყანა: მძლავრიად: სამხილ
ებელად: ცოდვათა: და: უსჯულოებათა: ჩუენთათუის: და: კულად: ხუთშაბათსა:
მცირედ: შეიძრა: და: არავინ: გულისკმაყო: რათამცა: წყალობად: აღედრა: ლ~თი:
მოწყალე: და: შემდობელი: და: ვითარ: მოიწია: პარასკევი: ვნებისა: უფლისა: კულადცა:
შეიძრა: და: მეყუსეულად: დაყუნდა: და: ვითარ: მოიწია: დიდი: შაბათი: და: იყო:
ჟამი: მესამე: და: ხუალისა: ჯერიყო: მხიარულება: აღდგომისათუის: უფლისა: და:
ყოველნი: მოელოდეს: სიხარულსა: ესეოდენ: რისხვითა: მოხედნა: უფა
ლმან: სიმრავლისათუის: უსჯულოებათა: ჩუენთასა: რომელ: საფუძველითურთ: შეიძრა:
ქუეყანა: და: შეაძრწუნვნა: რომელ: საფუძველითურთ:
დაიქცეს: საყდარნი: მონასტერნი: ციხენი: სახლნი: და: ნაშენებნი: ყოველნი: დაიქცეს: და:
მოოჯრდეს: მთანი: და: ბორცენი: დაზულეს: კლდენი: სახედ:
მტურისა: დაიგალნეს: მიწა: განიპის: და: შავი: წყალი: სახედ: კუპრისა: აღმოიჭრის:
ხენი: მაღალნი: დაეცნიან: და: ირყეოდინ: ძრვასა: ქუეყანისასა: რო
მელ: საყდარი: აწყურისა: დაიქცა: რამეთუ: ყ~დ: წმიდა: აწყურისა: ლ~თისმშობელი:
საშუალ: საყდარისა: ესუნა: და: გუმბადი: ჩამოიჭრა: და: ვითარ:
ქუდი: თავსა: დაერქუა: და: დარჩა: უვნებელად: ძლიერებითავე: მისითა: და: ესე: რისხვა:
ლ~თისა: სამცხეს: ოდენ: მოიწია: და: განგრძელდა: რყევა:
ქუეყანისა: ვიდრე: თუისა: ერთისა: ჟამთამდე: გარნა: სხუაგან: არარა: ევნო: არამედ:
მცხეთისა: საყდარი: დაიქცა: და: სამცხეს: ურიცხვი:
სული: მოისრა: და: საყდარი: ეკლესია: და: ციხე: არსადა: დარჩა: დაუქცეველი: და: იქმნა:
გლოვა: და: მწუხარება: დიდი: ხოლო: ზემოკსე
ნებული: იგი: არღუნ: ალა: იყო: რა: ყანსა: წინაშე: შეედვა: სენი: რამე: რომლისა: მიერ:
მოკუდაცა: და: ვითარ: ცნა: შვილმან: არღუნის
მან: სიკუდილი: მამისა: თუისისა: წარვიდა: სახლად: თუისად: და: დაი: მეფისა: ცოლი:
მისი: დაუტევა: ტფილის: ხოლო: ქალმან: მან: იკუმია: სივლ
ტოლა: მთიულეთს: რამეთუ: არა: ენება: წარმართი: ქმარი: მაშინ: ცნა: სადუნმან: და:
დაევაჭრა: რათა: მიჰყიდოს: და: მეფისი: და: ევედრა: ყანსაცა:
აბაღას: ხოლო: იგი: ერჩდა: და: მიჰყიდა: და: მეფისა: სადუნსა: ხოლო: მეფესა: ძნელად:
აღუჩნდა: გარნა: არა: იყო: ღონე: და: მისცა: და: თუისი: სადუნსა: და:
ესე: უწესო: ქმნა: რომელ: სამნი: ცოლნი: მოიყუანნა: სადუნმან: ამისთუის: განწყრა:
კათოლიკოზი: ნიკოლოზ: მხილველი: მართლმადიდებელი: და:
მართლმკუეთელი: დაღათუ: მძლავრობდა: სადუნი: არამედ: ფრიად: შეაჩუენებდა: კ~ზი:
მას: ჟამსა: საქმისა: რასათუისმე: განადგეს: თათართა: სარ
გის: და: ძე: მისი: ბექა: მთავარნი: სამცხისანი: ცნა: ესე: აბაღა: ყანმან: და: წარმოავლინა:
ლაშქრითა: დიდითა: ბულა: წოდბულისა: ნოინისა: ძმა: არუხ:
სარგის: და: ბექასა: ზედა: რამეთუ: სარგის: დაბერებულყო: და: მოვიდა: კაცითა:
მბრძოლითა: ოცი: ათასითა: და: მოაოჯრებდა: სამცხისა: ქუეყანათა:

ხოლო: ბექა: შევიდა: მათა: რომელნი: არიან: შუა: გურიასა: და: აჭარასა: და: მესხნი: შევიდეს: ციხეთა: ქუბთა: და: ტყეთა: შინა: მოვლო: ლაშქარმან: სამცხე: და: ვერა: ავნეს: დაყვეს: ოცი: დღე: და: წარვიდეს: დარჩა: ქუეყანა: სამცხისა: მშუიდობით: რამეთუ: სიმაგრეთა: შინა: შესრულ: იყუნეს: და: ვითარცა: გარდაცდა: წელიწადი: ერთი: ინება: ყანმან: აბაღა: წარსლვა: ეგუიპტეს: რათა: ანუ: დაიპყრას: ანუ: მოხარკე: ყოს: და: მოუწოდა: ყოველთა: სპათა: მისთა: და: მეფესა: დიმიტრის: ყოვლითა: სპითა: მისითა: წარსლვად: და: ბრძოლად: ეგუიპტისა: სულტანსა: რამეთუ: მაშინ: ფანდუყადარ: გარდაცვალებულ: იყო: და: სხუა: დაედ გინა: მეგუიპტელთა: სულტანი: სახელით: ნასირ: რომელსა: უკანასკნელ: ეწოდა: ნასრიმელიქ: და: მოუწოდა: მმასა: თუისსა: მანგუდემურსა: და: აჩინა: მკედა რთმთავარად: და: კელთუდვა: ყოველი: სპა: მისი: ყანმან: და: უბრძანა: რათა: ჰბრძოდეს: სულტანსა: მაშინ: მოუწოდა: მანგუდემურ: მთავარსა: სამ ცხისასა: ბექასა: რათა: წარჰყუს: ლაშქარად: მისრეთს: ხოლო: ბექამან: თქუა: მტერთა: ჩემთა: სიტყუითა: განწყრა: ჩემთუის: მმა: თქუენი: ყანი: აბაღა: და: არუხ: წარმოავლინა: და: მოაოჯრა: ქუეყანა: ჩემი: ხოლო: მე: მივრიდე: არა: შეცოდებისათუის: მისისა: და: აწ: მეშინის: ყანისაგან: და: უკუეთუ: შენ: ფიცით: მიმინდობ: რათა: არა: მაბრალოს: ყანმან: და: ქუეყანა: და: მამული: ჩემი: მშუიდობით: დაიცვას: მოვალ: წინაშე: შენსა: და: წარმოვალ: ლაშქარად: და: ვითარ: ესმა: სიტყუა: ესე: მანგუდემურს: ოქროსა: წყლითა: შეს ას: უმელითა: შეჰფიცა: და: ყოველი: სიმტკიცე: აღუთქუა: და: მოსცა: ბეჰედიცა: რომელი: ეცვა: თითსა: მისსა: რამეთუ: ესე: იყო: სიმტკიცე: უვნებელობისა: და: ვითარ: მოვიდეს: მოციქულნი: ბექასანი: და: აუწყეს: სიმტკიცე: უვნებელობისა: მყის: უწოდა: ყოველთა: მესხთა: და: წარემართა: მისრის: და: ვითარცა: მივიდა: მანგუდემურისსა: წინაშე: განიხარა: ფრიად: და: პატივნი: დიდნი: წინაუყუნა: და: უჩუენა: ყანი: აბაღა: რომელმან: ფრ იად: პატივცცა: და: შეიყუარა: სიკეთისა: მისისათუის: და: ესრეთ: წარვიდეს: მისრეთს: ბრძოლის: ყოფად: სულტანისა: და: ვლეს: მრავალი: დღე: და: მიიწივნეს: ერ თსა: ქალაქთა: განსა: რომელსა: ეწოდა: დარბუზაკი: ვინა: მოქალაქენი: გამოვიდეს: და: წინაგანწყუნეს: და: იქმნა: ბრძოლა: ძლიერი: სადა: იგი: ბექამან: და: მის: თანა: მყოფთა: მესხთა: ძლიერად: აღუაწეს: უმეტეს: სხუათა: თათართა: და: ქართველთასაცა: და: შიგან: ქალაქისა: შესთხივნეს: რამეთუ: მესხნი: უპირატეს: მიეტევნეს: სხუა თასა: და: ვითარ: დასცხრა: ღუაწლი: ბრძოლისა: პატივი: დიდი: წინაუყო: ბექასა: სამოსელთა: და: ცხენტა: კეთილთა: მინიჭებითა: ეგრეთვე: მის: თანა: მბრძოლთა:

1-50 სტრ., 2v

დიდებულთა: და: აზნაურთა: ბექასთა: უბოძა: აიყარნეს: და: მივიდეს: ქალაქთა: რომელთაცა: ეწოდების: ამასი: და: ამაი: და: დაიბანაკეს: მახლობელად: ქალაქთა: და: ვი თარ: ცნა: სულტანმან: მისრიმელიქ: მისულა: თათართა: წარმოვიდა: ყოვლითა: ძალითა: მისითა: და: მოვიდა: ამასიას: და: ამაიას: ხოლო: ვითარ: იხილა: მანგუდემურ: სულტანი: და: სპა: მისი: ამკედრდა: და: წინა: განაწყო: სპა: თათართა: რამეთუ: იყო: რიცხუი: მკედარისა: მისისა: ასოცდათორმეტი: ათასი: ხოლო: მეფე: დიმიტრი: დადათუ: ჯერეთ: არა: სრულ: იყო: ბრძოლათა: შინა: გარნა: ეგრეთცა: ევედრა: მანგუდემურს: რათა: წინამბრძოლად: განაჩინოს: თუით: იგი: და: სპა: მისი: რო

მელი: ისმინა: და: დააწესა: იქმნა: ბრძოლა: სასტიკი: და: ძლიერი: ოდესმე: ყოფილთა:
და: გარდასრულთა: ბრძოლათა: უდიდესი: ხოლო: ვინათგან: უწყოდა: სულ
ტანმან: წყობათა: შინა: სიმკნე: და: წინადაუდგრომელობა: მეფისა: და: სპათა: მისთა:
ამისთუის: თორმეტი: ათასი: მკედარი: რჩეული: თუის: თანა: იპყრა: და: წინაშე:
მისსა: დააყენა: ორთა: თანა: მთავართა: მათთა: მკნეთა: ყარასუნლულს: აყუმფარავს:
რათა: განძლიერებასა: და: შენივთებასა: ომისას: უკა
ნასკნელ: იგინი: მიეტევნენ: და: სძლონ: და: აოტნენ: ქართველნი: და: ვითარ:
ყოველგნით: განგრძელდა: ომი: მოსწყდა: ორგნითვე: ურიცხვი: მაშინ: მსწრაფლ: ზედა:
მიეტევნეს: მეფესა: ყარასუნლულს: და: აყუმფარავს: ათორმეტი: ათასითა: მკედრითა:
რჩეულითა: კუალად: იქმნა: სასტიკება: ბრძოლისა: ესევეითარი: რომელ:
ორიათასი: მკედარი: წინამბრძოლად: განეწესა: მეფესა: და: არა: დაშთა: მათგანი:
თუნიერ: სამთა: კაცთასა: და: სრულიად: მოისრნეს: და: ცხენიცა: მეფისა: დაეცა:
შუბითა: ყარასუნლულის: მიერ: ხოლო: მლტოლველთა: ქართველთა: დაცემასა: მეფისა:
ჰონისასა: მყის: ქუეითქმნილთა: იწყეს: ბრძოლად: ყოველთავე:
ძლიერად: და: უმრავლესნი: მეგუიპტელნი: მოისრნეს: და: მეფეცა: ძლიერად: იბრძოდა:
ცხენმოკლული: ვითარ: იხილა: მეფე: ქუეითი: სიქანელისქმნან: ჩოგა
შვილმან: აბაშმან: მყის: აღსუა: მეფე: ონესა: თუისსა: ზედა: და: ვითარ: იხილეს: მეფე:
აღმკედრებული: ქართველთა: მაშინ: ყოველნი: აღმკედრდეს: და: კუალად:
მიეტევნეს: და: მეოტ: იქმნეს: ყარასუნლულს: და: აყუმფარაბ: ათორმეტი: ათასთა: თანა:
ხოლო: ლტოლვილ: იქმნნეს: აქათ: პირველად: ნოინნი: და: თუით: მან
გუდემურ: უკმოიქცა: ყოველთა: სპათა: თუისთა: თანა: მაშინ: უღონოქმნილთა:
ქართველთაცა: სივლტოლა: იკუმიეს: გარნა: ზეგრდამოთა: განგებითა:
მეფე: დაცულიქმნა: დადაცათუ: უმრავლესნი: ქართველნი: მოისრნეს: და: მოვიდეს:
მანგუდემურ: და: მეფე: წინაშე: აბალასსა: რამეთუ: სირამონ: ნოინი:
პირველად: აღსრულებულ: იყო: და: აბადა: ნოინი: ღთისა: მიერ: უკმარ: ქმნილიყო:
ხოლო: ნადირობას: ყოფასა: და: ლაშქართა: ამზავისა: მომლოდებასა:
შინა: აბადა: იხილა: თათარი: ვინმე: ლტოლვილი: ხოლო: მან: კითხულმან: აბალას: მიერ:
ყოველივე: ლექსთა: მიერ: შეწყობით: მარცულედად: წარმოუთხრა:
ენითა: მათითა: თუითოეულისა: მთავარისა: ვითარება: პირველად: აღინაყისთუის: თქუა:
ვითარცა: მაღლით: მომავალი: შავარდენი: მიუჭდა: და: მანგუდემურ: ვითარ
ცა: ვერძსა: მტაკებელსა: მიაღსგავსა: სირამონის: შვილი: ვითა: განხატომილსა: ვეფხსა: და:
იასიბულა: მოზუერსა: ბულა: კამბეჩსა: და: თიგნა: დედალსა: თხასა:
ხოლო: ქართველთა: ესრეთ: თქუა: მეფისათუის: ენითა: მათითა: თუნგრი: მეთუ:
ქუარქურბა: ბულღარჯი: ესე: იგი: არს: ვითა: ღმერთი: გურგვინვიდეს: და: ვითა: აქლ
ემნი: ბულრაობდეს: და: ვითარცა: მოვიდეს: მეფე: და: ქართველნი: ფრიად: პატივსცა: და:
წარმოავლინა: სახედ: თუისად: და: ვითარ: კუალად: ეგულეობდა: წარსლ
ვად: და: შურისგებად: სულტანსა: ზედა: მოკუდა: ძმა: მისი: მანგუდემურ: და:
შემდგომად: მცირედისა: მოკუდა: სადუნი: ათაბაგი: და: მიუბოძა: მამული:

მისი: დიმიტრი: მეფემან: ძესა: მისსა: ხუტლუბუღას: და: სპასპეტობისა: პატივსა:
ადიყუნა: ხოლო: შემდგომად: მცირედისა: მოკუდა: ყანიცა: აბაღა: და: დასუ
ეს: ნონთა: ყანად: ძმა: მისი: ჰამადა: არარათა: ნიჭთა: მქონებელი: სამვედროთა: და:
საჯელმწიფოთა: მაშინ: წარვიდა: მეფე: დიმიტრი: ურდოს: ჰამადას: წინა
შე: ხოლო: ყანმან: ფრიად: პატივსცა: და: მაშინ: მუნ: ყოფასა: მეფისასა: მისცა: ასული:
თუისი: რუსუდან: შვილსა: დიდისა: ბუღასსა: ცოლად: რომლისა
თუის: განრისხებული: კათალიკოზი: ნიკოლაოზ: დიდად: აბრალებდა: და: ლთისა:
სასჯელთა: თუალუხუობასა: აქადებდა: რამეთუ: მუნ: ყოფასა: დი
მიტრისსა: ქმნა: ბოროტი: ამადა: ყანმან: რომელ: მოიყუნა: ძმა: მისი: ყუნდრადი:
საბერძნეთით: და: მოაკუდინა: ეგრეთვე: ორნი: ძმანი: აბულეთის
ძენი: სადუნისგან: ლტოლვილნი: ხუტლუბუღა: მოაკუდინა: ძემან: სადუნისმან:
აქამომდე: კეთილად: მმართველი: სვიპტრისა: და: პორფირისა:
მეფე: დიმიტრი: და: შემკობილი: მოსამართლეობისა: და: გლახაკთა: მოწყალებისა: მიერ:
მონაზონთა: ეკლესიათა: და: ყოველთა: წესთა: საღთოთა: და: კაცობრივთა: კე
თილად: განმე: ზედა: მიწევნით: მმართველობისა: და: სისრულისაგან: მცირედ:
მიდრკა: აღერია: წარმართთა: და: ისწავნა: საქმენი: მათნი: რამეთუ: უმ
ღებებთა: და: გულისსიტყუათა: შედგომილმან: მოიყუნა: სამნი: ცოლნი: ვითარცა:
უწარჩინებულესისა: და: ბრძენთა: უბრძნესისა: და: წინასწარ
მეტყუელებისა: და: იგივეობისა: ღირსქმნილმან: ესეცა: დედათა: მიერ: შეიცთუნვა: და:
ურიცხუთა: კეთილთა: მიერ: აღვსებული: მცირედ: მცირ
ედ: სიბოროტედ: მიდრკა: რომლისათუისცა: კზი: ნიკოლაოზ: კულადცა: განწყრა: და:
განრისხებული: უთქუმიდა: და: მრავლად: ამხილებდა: არა:
მიდრეკად: წესთაგან: დიდებულთა: ქრისტიანობრივთა: სარწმუნოებისათა: და: დიდად:
აიძულებდა: და: ვითარ: ვერ: არწმუნა: დაუტევა: და: თუისთა: კე
ლითა: აკურთხა: ჯუარისმტუირთველი: მეფისა: აბრაამ: კათალიკოზად: და: თუით:
წარვიდა: მამულად: თუისად: მოხილეთად: მხუცებული: და: სავსე: დღითა:
მუნ: იყოფებოდა: მოლუაწებითა: და: მარხუითა: და: ლოცვითა: აღავსებული: და:
გლახაკთა: მოწყალებითა: სავსე: ლთისა: მიიცვალა: ამათ: ჟამთა: მოიწია: მონა
ზონი: ბასილი: მთაწმიდით: ბიძა: ეფთუიმი: კზისა: რომელი: შემდგომად: აბრაამისა:
კათალიკოზი: იქმნა: ესე: ლთშემოსილი: ბასილი: საღთოთა: მადლთა:
მადლითა: და: წინასწარმცნობელობითა: აღსავსე: მოიწია: წინაშე: დიმიტრი: მეფისა:
გამცხადებითა: ყდწისა: ლთისმშობელისათა: ვითარცა: მოცი
ქულად: მის მიერ: წარმოვლინებული: და: ძლიერად: წინააღუდგებოდა: და: ამხილებდა:
მეფესა: უწესოსა: მისთუის: მრავალქორწინებისა: და: ასწავე
ბდა: სიწმიდესა: და: მოაქსენებდა: ტაძარ: ლთისა: ყოფისა: ჩენასა: და: სხეულთა: ჩუენთა:
განმხრწნელობისათუის: ტაძრისა: ლთისა: განმხრწნელობასა: და: არ
ცახ: მსიძავთათუის: სასუფეველისა: ლთისა: დამკუიდრებასა: და: კეთილთა: ამათ: და:
მარგალიტებრთა: ხუავთა: და: ლთისა: სიყუარულთა: ლოცვა: მარხვიან:

ცრემლიანთა: გლახაკთ: მოწყალებისა: ლმობიერებისა: და: უხუებისა: მდინარეთა: თანა: მწუირიანთა: და: უყიანთა: ლიე: მპლისა: მდინარეთა: არა: თანაშერ
თვად: ამათ: და: ესევითართა: სწავლათა: ეტყოდა: და: რქუა: უკეთუ: დაუტევნე:
უწესონი: ესე: ქორწინებანი: მე: თავსმდებ: გექმნე: რათა: კეთილად:
წარემართოს: მეფობა: შენი: და: მრავალთა: მთავართა: და: წარჩინებულთა: ამხილებდა:
უწესობასა: და: მრავალთა: დაფარულნი: გულისანი: მიუთხრნის: ესევითა
რითა: სათნობითა: განბრწყინვებულ: იყო: სანატრელი: იგი: მონაზონი: და: ვითარ:
არწმუნა: მეფესა: და: შეურაცხყო: სიტყუა: პატიოსნისა: მის: ბერისა:
წარმოუდგა: წინაშე: მეფესა: და: მთავართა: მისთა: და: თქუა: ისმინეთ: სიტყუა: ჩემი:
მეფემან: და: ყოველთა: მთავართა: უკუთუ: მე: ჩემებით: რასმე:
ვიტყუი: და: ვიტყუვით: ვითარცა: ცრუ: წინასწარმეტყუელი: შემაცოუნებელი: კაცისა:
ღ~თისა: რომელი: მოივლინა: იერობომისსა: მისა: ნაბა
ტისსა: და: არა: ყ~დ წ~ისა: ღ~თისმშობელისა: გამოცხადებითა: უწყოდი: მეფეო: რამეთუ:
ყოვლად: წ~ისა: ღ~თისმშობელისა: მიერ: მოვლინებულ: ვარ:
სწავლად: შენდა: რათა: არა: ცუდ: იქმნენ: ქველისმოქმედებანი: შენნი: და: გლახაკთა:
მოწყალებანი: ამისთანა: ლოცვა: და: ცრემლნი: შენნი: და: უკეთუ: არა: განე